ხელშეკრულება № 18
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ
(CPV -79212000)

ქ. თბილისი **,,1“ ,,თებერვალი“ 2019 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი“ (შემდგომში - „შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით და მეორე მხრივ შპს „კომპაუდი“ (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის ნუგზარ ხიჯაკაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისმე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, სსიპ „მწერალთა სახლის“ მიერ 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული დასკვნისა და ანგარიშის წარდგენას.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3000 (სამი ათასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“.

3.მომსახურების სახეობა და მიწოდების პირობები

3.2. ,,შემსყიდველისთვის” მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 15 თებერვლამდე.

4.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1.„მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. “მიმწოდებელი” ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების თაობაზე “შემსყიდველთან” ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3 .„მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 5 სამუშაო დღეში.

4.4. დაფინანსების წყარო: **2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

5.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის” მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „მიმწოდებელმა” ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, “შემსყიდველის” მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.მხარეთა ვალდებულებები

7.1. “მიმწოდებელი“ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის” მიერ ამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებისგამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავოსაკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11.ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთაშ ეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 01 აპრილამდე.

მხარეთარეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

სსიპ„მწერალთა სახლი“
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის ქ. №13
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02
<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახზინო კოდი 32 10 01 26

,,მიმწოდებელი“

შპს „კომპაუდი“
ს/კ202385169
მის: თბილისი, დ. ბაქრაძის №6
<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“
BAGAGE22
ა/ანGE64BG0000000192631800

writers house Digitally signed by writers house Date: 2019.02.01 10:41:47 +04'00'

LTD kompaudi Digitally signed by LTD kompaudi Date: 2019.02.01 11:23:34 +04'00'